მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტი
პროექტის N P173782
სესხის N 9361-GE
დავალების დასახელება: ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
კონტრაქტის ნომერი: KCIP/CS/ICS-01

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ ინფორმაციას.

შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტი დაეხმარება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს იმის უზრუნველყოფაში, რომ კახეთის დაკავშირების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაო შეესაბამებოდეს საქართველოს შესაბამის კანონებს, რეგულაციებს და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტ 2-ს, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის შრომის პირობები და გარემოსდაცვით, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები. **ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი** საჭიროებისამებრ დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ სხვა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებში.

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

https://www.dropbox.com/sh/pr78hsrx0vw59sm/AAC4jI9gWoDMrgSOtAoB4m1ya?dl=0

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამოქალაქო ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სოციალურ მეცნიერების განხრით ან მათთან დაკავშირებულ დარგებში.
- ჰქონდეს მინიმუმ 5 (ხუთ) წლიანი სამუშაო გამოცდილება, საიდანაც სასურველია 3 (სამი) წლიანი გამოცდილება აღნიშნული დავალების მსგავს დავალებებში;

- ჰქონდეს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებში ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების შეფასებებისა და მართვის დაგეგმვისა და/ან ასეთი გეგმების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება (საავტომობილო გზების სფეროში პრაქტიკული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);
- საქართველოს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნა;
- ჰქონდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში გამოცდილება;
- ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილად ცოდნა.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.</u>

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს - შესყიდვების რეგულაციები საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მსესხებლებისთვის გამოცემული 2016 წლის ივლისში (განახლებული 2020 წლის ნოემერში) მესამე თავის 3,14 და 3,17 პარაგრაფებზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტების ღია საკონკურსო შერჩევის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge .

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიასთან (CV) ერთად დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 11 იანვრის18:00 საათისა.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი

სალომე წურწუმია,დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge